



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება: 92. 92230907

თარიღი: 31/03/2023

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და „ე.ვ1 „ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 30²-ე მუხლისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 17 იანვრის N888 ბრძანების მე-3 მუხლის, ასევე „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. შეიქმნას, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია.

მუხლი 2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე:

ნინო ბატიაშვილი- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

-გიორგი მჭედლიშვილი - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

კომისიის მდივანი:

-თამარი წიქარიშვილი -ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში.

კომისიის წევრები:

-ნათელა დათუკიშვილი-ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

-ნინო კუპრაშვილი -ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

-ეკატერინე ლეკიაშვილი-ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 23 დეკემბრის Nბ92.92213571 ბრძანება "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ".

მუხლი 4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 01 თებერვლის Nბ92.922303253 ბრძანება "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ".

მუხლი 5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 08 თებერვლის Nბ92.9223039001 ბრძანება "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ".

მუხლი 6. კომისიამ თავისი უფლებამოსილება განახორციელოს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 17 იანვრის N888 ბრძანებით დამტკიცებული „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) დამდგენი კომისიის ტიპური დებულების“ შესაბამისად.

მუხლი 7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 8. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა №24.

ნინო ბატიაშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

